

შპს სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს

საიდენტიფიკაციო კოდი: 208217375

<დოკუმენტი ფინანსური მდგრალობის შესახებ>

შედგენის თარიღი: 29 ივლისი 2024 წელი

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 31/07/2002 წ; რეგისტრაციის # 7/4-2112

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული არ არის.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ.,#10

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ.,#10

საიდენტიფიკაციო ნომერი: 208217375

დამფუძნებელი და დირექტორი:

1. ლელა ბოჭოიძე (პ/ნ 01019038090), 33,3 % წილის მფლობელი.
2. ნონა ბოლქვაძე (პ/ნ 01012010283), 33,3 % წილის მფლობელი.
3. რუსუდან ბოლქვაძე (პ/ნ 33001007493), 33,4 % წილის მფლობელი.

შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ზოგადი საბაზო და საშუალო განათლება.

ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი : 85310

შვილობილი კომპანია შპს „სეფებანი“ დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 08/11/2013 წ;

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 19/11/2013 წ-დან.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ.,#10

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რ-ნი, იპოლიტოვ-ივანოვის ქ.,#10

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400104418

დამფუძნებელი: შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯეს“ (ს/კ 208217375), 100% წილის მფლობელი

დირექტორი: ნიკოლოზ ნაავგუსტ (პ/ნ 33001007494)

შპს „სეფეზანი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი არასაცხოვრებელი შენობის გაქირავება და მართვა.

ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი :68202

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა კომპანიაში შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

ბიუჯეტირების ზოგადი ნაწილის მიმოხილვა

ბიუჯეტი - არის დროის გარკვეულ მონაკვეთში მისაღები შემოსავლების, გასაწევი ხარჯებისა და დანაზოგების გადანაწილების გეგმა, ბიუჯეტის შედგენისა და მართვის პროცესს ბიუჯეტირება ჰქვია, ბიუჯეტი შედგება **შემოსავლის და ხარჯებისგან**, თავის მხრივ შემოსავლები იყოფა **ცვლად და ფიქსირებულ** შემოსავლებად და ასევე ხარჯები **ცვლად და ფიქსირებულ** ხარჯებად, ფიქსირებული ხარჯები - ეს არის ხარჯები, რომლებიც პერიოდულად თითქმის უცვლელია: მაგალითად ადმინისტრაციის ხელფასი, ინტერნეტი გადასახადი და ა.შ ცვლადი ხარჯები - ეს არის ხარჯები,

რომლებიც პერიოდულად იცვლება: მაგალითად ელ-ენერგიის ხარჯი, საკანცელარიო ხარჯი, პედაგოგების ხელფასი საათობრივი ანაზღაურების მიხედვით და ა.შ

ბიუჯეტი არის **პროფიციტული** და **დეფიციტური**, იშვიათ შემთხვევაში შედეგობრივად ნულოვანი,


მაგალითისთვის თუ ბიუჯეტი ნულზე მეტია (დადებითი სალდო) მაშინ ბიუჯეტი პროფიციტულია და პერიოდის ბოლოს „თავისუფალი“ თანხა რჩება კომპანიაში, რომელიც შემდგომში რეინვესტირდება კომპანიაში, სამომავლო განვითარებისთვის, და ა.შ

თუ ბიუჯეტი ნულზე ნაკლებია მაშინ ბიუჯეტი არის დეფიციტური, ზოგადად კომპანიისთვის მოკლე პერიოდში არსებული უარყოფითი სალდო ქეშ-ფლოუში არ არის კრიტიკული, მაგრამ მყისიერად გასატარებელია მთელი რიგი ფინანსური რეფორმები, უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობთ ხარჯების ოპტიმიზაციას, ამავდროულად ეძლევა კომპანიას შესაბამისი რეკომენდაციები რათა ბიუჯეტი გახდეს პროფიციტული.

საყურადღებოა საპროგნოზო ბიუჯეტი რომელიც შესანიშნავი ბერკეტია ანალიზის გასაკეთებლად, ფაქტობრივ ბიუჯეტთან მისი შედარება ყოველთვის გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაც გვეხმარება სამომავლო გეგმების შემუშავება/შესრულებაში.

სკოლას მიმდინარე პერიოდისთვის ჰყავს 750 მოსწავლე, ეს რიცხვი გვინდა გავზარდოთ 880 მოსწავლემდე, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ მოკლე ფინანსურ ანალიზს.

# დასახელება	ფაქტობრივი ბიუჯეტი (750 მოსწ.) 2023 წ	საპროგნოზო ბიუჯეტი (880 მოსწ.)	სხვაობა	%
პირდაპირი შემოსავალი (კონტრაქტები)	3,712,638	4,557,638	845,000	+ 22.76%
დაფინანსება (ვაუჩერი)	215,075	218,182	3,107	+ 1.44%
დამატებითი შემოსავალი (მომსამზადებელი ჯგ.)	68,675	78,245	9,570	+ 13.94%
ჯამი შემოსავლების	3,996,388	4,854,065	848,107	+ 21.46%
შრომის ანაზ. ადმინისტრაცია (ფიქსირებული)	1,072,392	1,072,392	-	- 0.00%
შრომის ანაზ. პედაგოგები (ცვლადი)	2,013,040	2,093,562	80,522	+ 4.00%
საპენსიო ანარიცხები (ცვლადი)	34,955	36,353	1,398	+ 4.00%
მივლინებები, საერთაშორისო ღონისძიებებში (ცვლადი)	129,177	129,177	-	- 0.00%
ინფრასტრუქტურის შენახვის ხარჯი (რემონტი) (ცვლადი)	69,850	81,725	11,875	+ 17.00%
სხვადასხვა საოპერაციო ხარჯი (კომუნ. სამეურნ. საკანც.) და ა.შ (ცვლადი)	142,011	159,052	17,041	+ 12.00%
ჯამი საოპერაციო ხარჯების	3,461,425	3,572,261	110,836	+ 3.20%
სესხის მომსახურება (%)	213,624	252,076	38,452	+ 18.00%
ჯამი არასაოპერაციო ხარჯების	213,624	252,076	38,452	+ 18.00%
ბიუჯეტის ხარჯი (ქონების გადასახადი)	14,898	21,855	6,957	+46.70%
Free Cash Flow (FCF)	306,441	1,007,873	698,819	+228.90%



დამატებითი ინფორმაცია კომპანიის აქტივების ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის შესახებ (2023წ)

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 12 (ბასს 12)

კომპანიის აქტივები ვალდებულებები და
საკუთარი კაპიტალი - 2023წ

სულ ჯამში აქტივები	5,255,725
მოკლევადიანი აქტივები	1,642,873.00
გრძელვადიანი აქტივები	3,612,852.00

სულ ჯამში ვალდებულებები	3,868,892.00
მოკლევადიანი ვალდებულებები	325,100.00
გრძელვადიანი ვალდებულებები	3,543,792.00

კომპანიის კაპიტალი	1,386,833.00
--------------------	--------------

კომპანიას 2023 წლის მონაცემებით „ბასს“ სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით, მომზადებულ ფინანსურ ინფორმაციაში არის, დადებითი მოგება-ზარალი, დადებითი ქეშ-ფლოუ და დადებითი ბალანსი, ეს და სხვა ფინანსური ინფორმაცია ასევე ყველა თანმხლები რეკომენდაცია მყისიერად გაცნობილი და მიწოდებულია კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის.

ბუღალტერი: მარინე ელიზბარაშვილი

ბუღალტერი: ნანა მაისურაძე

აუდიტორული კომპანიის „ს.ბ ფინანს სერვისის“ ექსპერტ-აუდიტორი: ლევან ქველაძე